

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ და ილიაუნის შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „მტკვარი ენერჯიმ“ სტუდენტებს უმასპინძლა

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია საგანმანათლებლო სექტორში განხორციელებული პროექტის ფარგლებში სტუდენტებს

მასპინძლობს. ენერგეტიკის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულ სტუდენტებს პროფესიული უნარ ჩვევების ასამაღლებლად სწავლის პარალელურად „ჯი-აი-ჯი“ პრაქტიკის გავლის საშუალებას აძლევს.

ამ პროექტის ფარგლებში 23 იანვარს ილიაუნის ენერგეტიკის მდგრადი მართვის სპეციალობის



სტუდენტები „მტკვარი ენერჯის“ გარდაბნის მე-9 ენერგბლოკის მუშაობის პრინციპს გაეცნენ. სტუდენტებს, უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ „მტკვარი ენერჯის“ საქვამე სატურბინო საამქროს უფროსმა ზურაბ სუხიტაშვილმა და მისმა მოადგილემ მურთაზ ჩინჩალაძემ ადგილზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს თბოელექტროსადგურის ძირითადი კვანძების, მათი ფუნქციონირებისა და ურთიერთქმედების ტექნოლოგიური საფუძვლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს .

დაათვალიერეს სადგურის მართვის ცენტრი, ტურბოგენერატორი და მისი დამხმარე მოწყობილობა, ქვაბი, მკვებავი წყლის გამწმენდი საამქრო. აღსანიშნავია ,რომ,

მე-9 ბლოკი თავისი 250 მეგავატი სიმძლავრით დღემდე წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკის ერთერთ მნიშვნელოვან დასაყრდენს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ამას



პრესრელიზი

გარდა მის მიმდებარედ ყოფილი მე-10 ბლოკის ადგილზე იგეგმება ახალი 150-300 მეგავატი სიმძლავრის ნახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც იმუშავებს ტყიბულის ქვანახშირით და ამით აამაღლებს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხს.

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 2017 წლის 27 ივლისს გაფორმდა.

შეთანხმების თანახმად კომპანია სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს უნივერსიტეტის ახალი სამაგისტრო პროგრამის „ენერგეტიკისა და მინერალური რესურსების მართვა და მდგრადი განვითარება“ წარმატებულ სტუდენტებს სწავლების მე-4 სემესტრის დასასრულს პრაქტიკა გაიარონ „ჯი-აი-ჯი“-სთან აფილირებულ კომპანიებში”ზოგადად, განათლების სექტორი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისთვის არის პრიორიტეტული მიმართულება და საკმაოდ აქტიურ ინვესტირებას ახორციელებს კომპანია ამ დარგში.



კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

